ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4448167

ნომერი: AR1672448

თარიღი : 02.04.2019

გაცემის თარიღი : 05.04.2019

გაცნობის თარიღი : 17.04.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 71;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ეკა ჩიკვაიძე პ/ნ 01017014108
- თბილისი ს.ჯანაშიას ქ. N 11

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. რედ კაფე კოდი: 404875328

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილია თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კორპუსის საზღვრებში არსებულ რეკრეაციულ სივრცეს, და საპროექტო პოდიუმი განთავსების ადგილზე ფიქსირდება აქტიური გამწვანება, რომელიც აბალანსებს აღნიშნულ სეგმენტზე გადატვირთულ განაშენიანებას.

მოქმედი კანონმდებლობის მიზანია დაადგინოს და დაარეგულიროს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ძირითადი ასპექტები, მათ შორის: მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნის, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების, ბუნებრივი რესურსებისა და ფასეულობების, მათ შორის, სარეკრეაციო რესურსების ეფექტიანი გამოყენება და დაცვა. ხოლო კანონის ამოცანას წარმოადგენს, ტერიტორიებისა და დასახლებათა განვითარება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპები, რომლითაც რეგულირდება ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, რაც უზრუნველყოფს ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს არსებობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის , N 01.14.03.001.015 სამშენებლოდ გამოყენება და განვითარება , ანუ საკ . კოდით N 01.14.03.001.015.07.02.503 „რენდ კაფე“-ს ფართის წინმდებარე ტერიტორიაზე , სავარაუდოდ ღია სეზონური საზაფხულო ფართის ფუნქციონირებისათვის ,პოდიუმის მოწყობას, ვინაიდან აღნიშნული სამუშაოების განხორციელება სხვა მიმართულებით წაიყვანს მოცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას და სამომავლოდ გამოიწვევს მიმდებარე ტერიტორიის განვითარების არასწორ პრეცედენტს. გარდა ამისა რადგანაც დღევანდელი მდგომარეობით სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტია ქალაქში ხე–ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნება და აღდგენა.

შესაბამისად სამსახური თვლის, რომ არსებული ქალაქგეგმარებითი ერთეული, უნდა შენარჩუდეს მწვანე კუნძულად მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნის თვალსაზრისით , რადგან ბუნებრივი რესურსებისა და ფასეულობების, მათ შორის, სარეკრეაციო რესურსების ეფექტიანი გამოყენება და დაცვა წარმოადგენს იმ საჯარო ინტერესს, რომელიც დაცულ და გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც სახელმწიფოს ასევე კერძო სექტორის მხრიდან.

ზენოაღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიდან თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები არ შეესაბამება განაშენიანების სამომავლო განვითარების მისაღებ ჩამოყალიბების პრინციპს, სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად მსგავსი პრეცენდენტის დაშვება და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენს მოთხოვნა მოცემულ სიტუაციაში პოდიუმის მოწყობასთან დაკავშირებით .

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge